# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1261 2017 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:

ა) „პროგრამა „მომავლის ბანაკის“ განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №826 განკარგულებით გათვალისწინებული პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ყველა მონაწილის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან („საზაფხულო სკოლების“

პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ (პროგრამული კოდი: 32 02 07));

ბ) „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 18 მაისის №968 განკარგულებით გათვალისწინებული პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ მონაწილეებისათვის ტრანსპორტირების, კვებისა და სასწავლო-შემეცნებითი პროგრამით უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან („საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ (პროგრამული კოდი: 32 02 07)).

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**